



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №7

2017 წლის 21 თებერვალი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - ქ. დუშეთში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (ყოფილი სტალინის ქ. N27) მდებარე ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.51.02.909) სახურავზე, ჰკვ.მ. ფართის შ.პ.ს. „მაგთიკომისთვის“ ქირავნობის ფორმით სარგებლობაში გადასაცემად, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ქ. დუშეთში დავით აღმაშენებლის ქ. N27-ში მდებარე, (ყოფილი სტალინის ქუჩა) დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.51.02.909) სახურავზე, მაკრო რადიოსადგურის განთავსებისათვის, 3 კვ.მ. ფართი სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით გადასცეს შ.პ.ს. „მაგთიკომს“ თვეში 350 ლარად.

2. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გვი ზურაბაშვილი